სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

გელა ცაავა[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.32

ე. წ. აფხაზური ეროვნული პასპორტის სამგზავრო დოკუმენტად აღიარების მცდელობები

აბსტრაქტი: წარმოდგენილი ნაშრომის საკვლევ საკითხს წარმოადგენს საქართველოს სეპარატისტული რეგიონის აფხაზეთის მოთხოვნა ე.წ. აფხაზური ეროვნული პასპორტის საერთაშორისო სამგზავრო დოკუმენტად იყოს აღიარებული დასავლეთის სახელმწიფოების მიერ. ამ კონტექსში გაანალიზებულია საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული პრეცედენტები (კოსოვო, ტაივანი, ჩრდილოეთ კვიპროსი).

ნამშრომში ყურადღება მახვილდება ევროკავშირის მკაფიო პოლიტიკაზე, რომელიც გულისხმობს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე (ოკუპირებული აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) გაცემული „პასპორტების“ უკანონოდ ცნობას. აღნიშნული საკითხი, ერთმნიშვნელოვნად დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის საფუძველზე ცნობილი საზღვრების ხელშეუხებლობასა და საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემასთან.

კვლევის დროს გამოყენებულია ხელმისაწვდომი თეორიული მასალა, რომლის კონტენტ ანალიზმა სათანადო დასკვნების მომზადების საკითხში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია. ნაშრომის სამეცნიერო სიახლე დაკავშირებულია ზემოხსენებული საკითხის შესახებ ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. ოფიციალური პირების პოზიციებისა და მოსახლეობის შეხედულებების გაანალიზებასთან, რაც საკითხის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვადასხვაობოს შეჯერებას, ანალიზსა და ლოგიკურ დასკვნებს უზრუნველყოფს.

---

[1] **გელა ცაავა,** რუსეთისმცოდნეობის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, საქართველოს სეპარატისტული რეგიონი, პრეცენდენტი, რეკომენდაცია, ოკუპირებული ტერიტორია, რუსეთი, ევროკავშირი.

Gela Tsaava[2]
Sokhumi State University/Georgian National University

Attempts to Recognize the „Abkhazian National Passport“ as a Travel Document

Abstract. The research issue of the presented paper is the request of the separatist region of Georgia, Abkhazia, for the so-called Abkhazian national passport to be recognized as an international travel document by Western states. In this context, precedents in international practice (Kosovo, Taiwan, Northern Cyprus) are analyzed.

The paper focuses on the clear policy of the European Union, which involves recognizing as illegal the "passports" issued by the Russian Federation in the occupied territories (occupied Abkhazia, Tskhinvali region). The issue is clearly related to the inviolability of the borders of the Georgian state, as recognized by international law, and respect for the sovereignty of the Georgian state.

During the research, we have used available theoretical material, the content analysis of which has provided us with significant assistance in preparing appropriate conclusions. The scientific novelty of the work is associated with the analysis of the positions of the so-called officials and the views of the population of occupied Abkhazia on the above-mentioned issue, which provides a summary, analysis and logical conclusions of the differences of opinion surrounding the issue.

Keywords: Abkhazia, separatist region of Georgia, precedent, recommendation, occupied territory, Russia, European Union.

შესავალი. 2022 წლის დეკემბერში ევროკავშირის საბჭომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში ან საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებზე (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) ,,გაცემული რუსული სამგზავრო დოკუმენტების'' არაღიარების თაობაზე. ეს ნიშნავს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე აფხაზეთის პატარა მოსახლეობა, რომელსაც მხოლოდ რუსეთი და გაეროს წევრი ოთხი სხვა ქვეყანა აღიარებს, ევროკავშირის ქვეყნებში მოგზაურობის უფლების გარეშე აღმოჩნდა (ჯემნიუსი, 2023).

[2] **Gela Tsaava**, Phd in Russian Studies, Associate Professor at Sokhumi State University and Georgian National University. PhD

ოკუპირებულ აფხაზეთში „მოქალაქეებს“ პირადობის დამადასტურებელი ორი სახის დოკუმენტი აქვთ. აფხაზეთის მოსახლეობის დაახლოებით 60 პროცენტს აქვს ორმაგი, აფხაზური და რუსული „მოქალაქეობ“. ბევრმა რუსული პასპორტი 2008 წლამდე მიიღო. მაშინ ოკუპირებულ აფხაზეთში ე. წ. ორმაგი მოქალაქეობის მიღება გამარტივებული წესით შეიძლებოდა. ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. მოქალაქეებისთვის რუსული პასპორტების გაცემით, რუსეთის ფედერაცია ამტკიცებდა, რომ ისინი მოქალაქეობის არმქონე პირები იყვნენ. თუმცა, მას შემდეგ, რაც 2008 წელს რუსეთმა „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ აღიარა და სოხუმთან ოფიციალური „დიპლომატიური ურთიერთობა“ დაამყარა, გამარტივებული სისტემა გაუქმდა.

დისკუსია. 2022 წელს მოსკოვმა გადაწყვიტა აფხაზებისთვის კვლავ აღედგინა რუსული პასპორტის აღების გამარტივებული სქემა. 2022 წლის სექტემბრის ბოლოს მოსკოვმა და სოხუმმა ე. წ. ორმაგი მოქალაქეობის საკითხის დარეგულირების „ხელშეკრულებასაც“ კი მოაწერეს ხელი. თუმცა, ამ შეთანხმების პარალელურად, ევროკავშირმა კანონგარეშედ ცნო ოკუპირებულ აფხაზეთში გაცემული რუსული პასპორტები (აფხაზეთში გაცემული რუსული პასპორტები ,,რეალური” რუსული პასპორტებისგან სერიაში ორი ციფრით განსხვავდებიან). შესაბამისად, ასეთი პასპორტით შენგენის ვიზის აღება შეუძლებელია. აფხაზების დანარჩენ 40 პროცენტს მხოლოდ „აფხაზური პასპორტი“ აქვს, რომლითაც რუსეთის ფედერაციის გარდა ვერსად იმოგზაურებენ. ეს პასპორტი არ არის აღიარებული საერთაშორისო დონეზე. ევროკავშირი არ ცნობს „აფხაზურ პასპორტს.“

ასტან ხაშიგი, ექსპერტი „აფხაზეთის ადამიანის უფლებათა დამცველის ოფისიდან“, დარწმუნებულია, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილება აშკარად არღვევს „რესპუბლიკის“ მაცხოვრებლების უფლებებს. მისივე თქმით, „ოკუპირებულ აფხაზეთში გაცემული რუსული პასპორტების არაღიარება ზღუდავს აფხაზების უფლებას, მიიღონ სამედიცინო დახმარებაც კი ევროკავშირის ზონაში.

ევროკავშირის საბჭოს განცხადებით, გადაწყვეტილება პასპორტების არცნობის შესახებ არის პასუხი „რუსეთისთვის არაპროვოცირებულ და გაუმართლებელ სამხედრო აგრესიაზე უკრაინის წინააღმდეგ და რუსეთის პრაქტიკაზე ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებლებისთვის რუსული უცხოური პასპორტების გაცემაზე“.[3]

[3] განცხადებაში მითითებულია, რომ საუბარია არა მხოლოდ ოკუპირებულ სოხუმსა და ცხინვალში გაცემულ დოკუმენტებზე, არამედ დოკუმენტებზე, რომლებიც იქ „მცხოვრებლებზეა გაცემული“.

განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსული სამგზავრო დოკუმენტები, რომლებიც გაცემულია უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში ან საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებზე ან იქ მცხოვრებ პირებზე, არ მიიღება მოქმედ სამგზავრო დოკუმენტად შენგენის ზონაში ვიზის მისაღებად ან საზღვრის გადასაკვეთად. ამ რეგიონებში გაცემული რუსული სამგზავრო დოკუმენტები უკვე არ მიიღება ან ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების მიერ არაღიარების პროცესშია. ეს გადაწყვეტილება მიმართულია საერთო მიდგომის შემუშავებისკენ გარე საზღვრისა და საერთო სავიზო პოლიტიკის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების უსაფრთხოების შენარჩუნებისთვის.

მაგალითად, აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ განაცხადა, რომ ევროკავშირის ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო მეტად მოაქცევს აფხაზეთს იზოლაციაში და ამიტომაც საჭიროა, სანქციებს ,,ვუპასუხოთ აფხაზეთის ტერიტორიაზე საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვით" (ნეტგაზეთი, 2022).

ოკუპირებულ აფხაზეთში გაცემული რუსული პასპორტების შეზღუდვის საკითხს აფხაზეთში არამხოლოდ საგარეო უწყება გამოეხმაურა, ე. წ. აფხაზმა ომბუდსმენმა ასიდა შაყრილმა, ასევე, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც საუბარია ევროკავშირის პოლიტიკის ორმაგ სტანდარტებზე და დაწესებულ სანქციებზე. შაყრილის განცხადებით, გასაკვირია საუბარი არაპროვოცირებულ და გაუმართლებელ აგრესიაზე რუსეთის მხრიდან, მაშინ როდესაც ელჩები, ამავდროულად, სთავაზობენ მათ დასჯას, ვინც საქართველოს მხრიდან თავად გახდა არაპროვოცირებული და გაუმართლებელი აგრესიის მსხვერპლი – ანუ ოკუპირებული აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი.

რუსულ-უკრაინული დაპირისპირების კონტექსტში ოკუპირებული აფხაზეთის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით ევროპული ქვეყნები მთლიანად ხურავენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის თემას, რომლის კულმინაციაც 1992 წელს აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს აგრესია გახდა. ე. წ. აფხაზი ომბუსდმენის აზრით, ევროკავშირის ნაბიჯები არ არის თანხვედრაში ადამიანის უფლებებთან, რომლის დასაცავადაც ევროკავშირი თავად იბრძვის. იგი მიიჩნევს, რომ ,,აფხაზეთის მოქალაქეებისთვის'' შესაძლებლობის წართმევით, გამოიყენონ რუსული პასპორტები და არ აღიარონ „აფხაზეთის რესპუბლიკის პასპორტები", ევროკავშირის ქვეყნები ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სასარგებლოდ არ მოქმედებენ, რომელიც დედამიწაზე ყველას ერთნაირად ეკუთვნის და გამყარებულია ასობით საერთაშორისო დოკუმენტით.

ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოებისთვის გახმიანებული ახალი სანქციები გახდა საბაბი, კიდევ ერთხელ გაეხსენებინათ ,,აფხაზეთის მოქალაქეების'' უფლებები ადამიანის საყოველთაო უფლებების კონტექსტში. თავის მხრივ, ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი კან ტანია ამ საკითხს უფრო ფართო კონტექსტში განიხილავს. მისი აზრით, ეს ყველაფერი აჩვენებს იმას, რომ ძველმა მსოფლიო წესრიგმა თავისი დრო ამოწურა. კან ტანია ამბობს, რომ წინ ელით გაერო-ს რეფორმა ან სულაც ახალი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც გაითვალისწინებს შექმნილ პოლიტიკურ რეალობას, „აფხაზეთის მოქალაქეებისა“ და სხვა სახელმწიფოების უფლებებს, ფართო საერთაშორისო აღიარების გარეშე.

ე. წ. აფხაზი დიპლომატები, ჩინოსნები და სამოქალაქო აქტივისტები აპელირებენ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლზე, რომელიც იძლევა გადაადგილების თავისუფლების გარანტიებს. ამავე დროს, პასპორტების მიღებასთან და მათ აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები თავად ოკუპირებულ აფხაზეთშიც არსებობს.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ირაკლი ტუჟბას განცხადებით, ,,ჩვენ ვთავაზობთ აფხაზეთის ეროვნული პასპორტების აღიარებას სამგზავრო დოკუმენტად, რადგან ასეთი პრაქტიკა არსებობს მსოფლიოში. ამასთან, ხაზს ვუსვამთ, რომ ეს არ ნიშნავს აფხაზეთის ავტომატურ აღიარებას - საუბარია გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დაძლევაზე'' (Тужба, 2023). მისი მტკიცებით, ე. წ. აფხაზური პასპორტების აღიარება „არ ნიშნავს აფხაზეთის ავტომატურ აღიარებას“ (კომერსანტი, 2023).

ე. წ. აფხაზურმა დელეგაციამ, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 57- ე რაუნდზე, სხვადასხვა ჰუმანიტარული, მათ შორის, „განათლების წვდომის და სამედიცინო უზრუნველყოფის“ საკითხების განხილვისას, კიდევ ერთხელ მოითხოვა „აფხაზური პასპორტებით“ მსოფლიოში გადაადგილების შესაძლებლობა.

დასკვნა. რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთა უდიდეს ნაწილს ადგილობრივი ე. წ. მოქალაქეობის გარდა, რუსეთის მოქალაქეობაც და შესაბამისად, რუსული პასპორტები აქვს. რუსეთი სამგზავრო დოკუმენტებს გასცემს ანექსირებულად გამოცხადებულ ყირიმში და დონეცკის, ლუჰანსკის, ხერსონის და ზაპოროჟიეს ოლქებშიც. აღსანიშნავია, რომ სანამ პოლიტიკოსები და აქტივისტები თავიანთ პროტესტს გამოხატავენ, ადამიანები იმ გარემოსკენ მიილტვიან, სადაც უკეთესად და

უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს. ვფიქრობთ, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დოკუმენტების აღიარება-არაღიარების საკითხს საქართველო ჰუმანიტარული კუთხით უნდა მიუდგეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

კომერსანტი (2023) ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება ე. წ. პასპორტების აღიარებას ითხოვს. 2023.04.07. ხელმისაწვდომია: https://old.commersant.ge/ge/post/okupirebuli-afxazetis-de-faqto-xelisufleba-ew-pasportebis-agiarebas-itxovs

ნეტგაზეთი (2022) პასპორტებზე ევროკავშირის სანქცია არაფერს შეცვლის – განწყობები აფხაზეთში. 30 ოქტომბერი, 2022. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/638938/

რადიო თავისუფლება (2023) სოხუმში „აფხაზური პასპორტების“ საერთაშორისო აღიარებას მოელიან. აპრილი 07, 2023. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32354058.html

ჯემნიუსი (2023) მსოფლიო უარყოფს ჩვენს არსებობას - როგორ ცხოვრობენ აფხაზი ახალგაზრდები პასპორტებზე ევროკავშირის სანქციების შემდეგ. 22.10.2023. ხელმისაწვდომია: https://jam-news.net/ge/evrokavshiris-sanqciebi-afkhazets-vckhovrobt-ssrkshi/

Тужба (2023): Ираклий Тужба. Европейские и американские коллеги действуют с оглядкой на Грузию. 06.04.2023. ხელმისაწვდომია: https://abhn.ru/iraklij-tuzhba-evropejskie-i-amerikanskie-kollegi-dejstvuyut-s-oglyadkoj-na-gruziyu/